პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 250 (7811)

30 დეკემბერი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიანიჭა:

ბადმინტონში — **ქურხაშვილს ლევან ალის ძეს** — „ბურევესტნიკის" ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორს, თბილისი; კრივში — **ბურჯანაძეს ვალერიან შოთას ძეს** — ქუთაისის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების კრივის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელს; **გოგიჩაიშვილს ჯემალ არჩილის ძეს** — საქართველოს განათლების სამინისტროს კრივის რესპუბლიკური სკოლის უფროს მწვრთნელს, თბილისი; ძიუდოში — **ჩართოლანს გაიოზ ჰიჰიკოს ძეს** — მესტიის სპორტკომიტეტის მწვრთნელ-პედაგოგს („დინამო"); კლასიკურ ჭიდაობაში — **მაჩკალიანს ვაგარშაკ ტორონის ძეს** — „დინამოს" აფხაზეთის საბჭოს მწვრთნელს, სოხუმი; **ხევასტოვს ათანასე ირაკლის ძეს** — ბათუმის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების ჭიდაობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელს; წყალში ხტომაში — **ჰასანოვას ელენე შამილის ასულს** — „განთიადის" ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორს, თბილისი; რეგბიში — **კილასონიას დავით ვლადიმერის ძეს** — „კოლმეურნის" ოსტატთა გუნდის „შევარდენის" მწვრთნელს, თბილისი; **სვანაძეს რამაზ ვიტალის ძეს** — ქუთაისის ხის დამამუშავებელი კომბინატის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელს („განთიადი"); სპორტულ ტანვარჯიშში — **ჯავაევს შალვა ალექსის ძეს** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის მწვრთნელს, თბილისი; **მარიდაშვილს ზაურ ალექსის ძეს** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის უფროს მწვრთნელს, თბილისი; **ოსიპოვს ედიკ მამიკონის ძეს** — „განთიადის" ცენტრალური საბჭოს საზოგადოებრივ მწვრთნელს, თბილისი; ტყვიის სროლაში — **სკრინიკოვს ვლადიმერ ევსეის ძეს** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელს, თბილისი; ფარიკაობაში — **თავაძეს ზურაბ სერგოს ძეს** — ბათუმის სახალხო განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორსა და მწვრთნელს; ციგურებით ფიგურულ სრიალში — **ნათაძეს ნოდარ ლევის ძეს** — ფიგურულ სრიალში ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორსა და მწვრთნელს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, თბილისი; ფეხბურთში — **კოხრეიძეს თემურ გიორგის ძეს** — ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელს; **კავთელაშვილს დუგლას პეტრეს ძეს** — ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსს; **ჩხეიძეს მიხეილ შოთას ძეს** — ბათუმის „თოლიას" ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს; **ამირეჯიბს ნიკოლოზ ევგენის ძეს** — რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროს მწვრთნელს რეზერვის მზადებაში; ჭადრაკში — **ქურდოვანიძეს მიხეილ გერონტის ძეს** — საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელს ჭადრაკში, ცხაკაია.

წლის ბოლო სტარტები

„მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე

გუშინ ბაკურიანში გაიმართა 1984 წლის ბოლო შეჯიბრება — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზის გათამაშება 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში.

უფროსი ასაკის მხტომელებში ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა 22 წლის ოსტატობის კანდიდატს ელგუჯა ყორომვილს — 79,5 მეტრი. მეორე ცდაზე იგი 74 მეტრზე გადახტა და 176,2 ქულით გაიმარჯვა. მომდევნო ადგილებზე არიან სპორტის ოსტატები ვალერი იარემოვი — 174,6 ქულა (ნახტომები 78 და 72) და გიორგი დიაკონაშვილი — 170,3 (77 და 72,5).

იუნიორებში კვლავ ელგუჯა ორჯონიკიძემ გაიმარჯვა — 175,8 (77,5 და 75,5). მეორე იყო კახა წაქაძე — 170,9 (75,5 და 72,5), მესამე — დათო დიაკონაშვილი — 164,2 (74,5 და 71,5). ყველა სპორტსმენი დინამოელია.

ამრიგად, მიიწურა 1984 წლის სპორტული სეზონი, მაგრამ... ზამთრის სეზონი გრძელდება — მალე (5-6 იანვარს) ბაკურიანში გაიმართება მხტომელთა ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" პრიზზე. რესპუბლიკის უძლიერესი მხტომელები ერთმანეთს შეეჯიბრებიან 70 და 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. 12-13 იანვარს დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი, ხოლო 19-20 იანვარს — IX ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრიზზე.

ოთარ ნოზაძე.

(ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).

„თბილისის „დინამო": ძიებისა და ექსპერიმენტის წელიწადი" — ასე ჰქვია წერილს, რომელსაც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ. წერილის უპირველესი მიზანია დისკუსიაში ჩააბას ყველა, ვისაც აღელვებს ქართული ფეხბურთის, კერძოდ, თბილისის „დინამოს" ბედ-იღბალი. (იხ. 2-3 გვ.).

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

ნონა გაფრინდაშვილი

არიან სპორტსმენები, რომელთაც განსაკუთრებული სიყვარულით შემოსავს ხოლმე ხალხი. უმაღლესი სპორტული ტიტულების გარდა, ამ სპორტსმენებს აქვთ კიდევ რაღაც სხვა, რისი ზუსტად გამოხატვა, უფრო სწორად, კონკრეტულად დასახელება შესაძლოა ყველაზე თავგამოდებულ თაყვანისმცემელსაც კი გაუჭირდეს. თუმცა სიყვარულის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნიშანი ესეც არის — ყოველთვის რჩება რაღაც გაურკვეველი, გაუცნობიერებელი.

ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე ორ მოჭადრაკეს მიაგებდნენ განსაკუთრებულ პატივს საქართველოში. მათ თითქმის ერთდროულად დაიპყრეს საჭადრაკო ტახტი — ერთმა ვაჟთა, მეორემ კი ქალთა შორის. ახლა ორივე ექსჩემპიონია, ორივეს გამოუჩნდა ღირსეული მემკვიდრე, თუმცა ამას სულაც არ უმოქმედია მათ მიმართ ჭადრაკის გულშემატკივართა დამოკიდებულებაზე — ძველი სიყვარული გაუხუნარი დარჩა, დარჩა ორი მომნუსხველი სახელი— ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ ტალი, ჭადრაკის ორი რომანტიკოსი.

მიხეილ ტალს მას შემდეგ, რაც მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა, ხალხმა უგვირგვინო ჩემპიონის წოდება მიანიჭა; უგვირგვინო ჩემპიონად მონათლა ჭადრაკის თაყვანისმცემელმა ნონა გაფრინდაშვილიც.

ადრე თუ გვიან დგება დრო, როცა, გინდა თუ არ გინდა, უნდა გამოეთხოვო მსოფლიოში პირველი მოჭადრაკის სახელს. ასეთია ცხოვრების კანონი. მკაცრი და მტკივნეული, მაგრამ მაინც კანონი. ჯერ კიდევ ჩემპიონობისას დაწერილ წიგნში „არსი ჩემი ცხოვრებისა" ნონა გაფრინდაშვილი უკვე ფიქრობს ამ პერიოდზე, შინაგანად ემზადება, ქვითკირით იმაგრებს გულს.

დადგა სპორტსმენისთვის ყველაზე რთული, ყველაზე ძნელი გამოცდის ჟამიც — ჟამი, რომელიც ბევრი, ძალიან ბევრი ჩემპიონისთვის უილაჯო ბრძოლით, უშედეგო წინააღმდეგობითა და ბოლოს სრული კრახით მთავრდება.

ნონა გაფრინდაშვილი ნამდვილად არ იქნებოდა ნონა გაფრინდაშვილი, სპორტული ცხოვრების ამ მთავარი გამოცდისთვის რომ ვერ გაეძლო. გაუძლო კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ საჭადრაკო ტახტზე მისი რამდენიმე იერიში მარცხით დამთავრდა. ისე, ალბათ ეს მარტო ნონასათვის იყო მარცხი, თორემ სხვისთვის ასეთივე შედეგები სულაც არ იქნებოდა ურიგო...

თბილისი. 1984 წელი. აპრილი. ასეთი ძლიერი შემადგენლობის ტურნირს საჭადრაკო სამყარო არ მოსწრებია. აქ იყო თითქმის ყველა, ვისაც რაიმე პრეტენზია ჰქონდა უმაღლეს საჭადრაკო იერარქიაში დამკვიდრებაზე.

ალბათ არც არის საჭირო იმის თქმა, რომ ნონა გაფრინდაშვილს მხოლოდ ერთადერთი შედეგი დააკმაყოფილებდა — ტურნირის მოგება იყო მისი პროგრამა-მაქსიმუმიცა და პროგრამა-მინიმუმიც. მთავარ პრიზს სხვა ღირსეული პრეტენდენტებიც ჰყავდა თვით მსოფლიო ჩემპიონის მეთაურობით, მაგრამ გაფრინდაშვილის შეჩერება ვერავინ შეძლო...

სალონიკის საჭადრაკო ოლიმპიადა მეცხრე იყო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონისთვის. აქაც ბრწყინვალედ ითამაშა ნონა გაფრინდაშვილმა და მეცხრე ოლიმპიური ოქროს მედალი მიუმატა აურაცხელი ჯილდოების კოლექციას.

წლებსაც თავისი მიაქვს, ოჯახსაც, ალბათ სულ უფრო ძნელდება და მძიმდება საჭადრაკო ბრძოლები და თითქოს ბუნებრივადაც ჩნდება საკმაოდ უსიამო შეკითხვა: „ხომ არ..."

პასუხად უგვირგვინო ჩემპიონის თვალებში მოუხელთებლად გაიელვებს ხოლმე რაღაც ისეთი, ჰემინგუეის მშვენიერი მოთხრობა „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება" და შამბნარში გადამწყვეტი ნახტომისთვის გარინდებული, მკერდში ტყვიაჩაჭედილი ლომი მახსენდება.

ირაკლი ბერიაშვილი.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

კასპაროვი ფიგურას სწირავს

როგორც ვიუწყებოდით, 28 დეკემბერს მოსკოვში კასპაროვ — კარპოვის მატჩის ოცდამეთექვსმეტე პარტია ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ გადაიდო.

აი, როგორ წარიმართა ეს პარტია:

ოცდამეთექვსმეტე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0—0 7. e3 b6 8. კe2 კb7 9. ეc1 dc 10. კ:c4 მbd7 11. 0—0 c5 12. dc მ:c5 13. ლe2 a6 14. ეfd1 ლe8 15. მe5 b5 16. მ:b5 ab 17. კ:b5 კa6 18. ე:c5 კ:c5 19. კ:a6 ლa4 20. კ:f6 gf 21. კb5 ლ:a2 22. მd7 კe7 23. ლg4+ მფh8 24. მ:f8 კ:f8 25. ლf3 კe7 26. კc4 ლa7 27. ლh5 მფg7 28. ლg4+ მფf8 29. კf1 ეd8 30. ეc1 ლb8 31. ეc2 f5 32. ლe2 მფg7 33. g3 ეc8 34. h3 ე:c2 35. ლ:c2 კf6 36. b3 ლb4 37. ლd1 ლc3 38. მფg2 ლc6+ 39. მფh2 ლc5 40. კe2 კe7 41. მფg2. პარტია გადაიდო.

აქ შავებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

მეტოქეებმა, ეს უკვე მერამდენედ ამ მატჩში, ლაზიერის გამბიტში ტარტაკოვერ-მაკოგონოვ-ბონდარევსკის სისტემა გაითამაშეს. როგორც კი ცენტრალური პაიკები გაიცვალა, კარპოვმა განიზრახა სივრცეს დაუფლებოდა ლაზიერის ფრთაზე. კასპაროვმა ღრმად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და მე-16 სვლაზე გაბედულად შესწირა მხედარი ორ პაიკში. მერე მან ხარისხიც დათმო და ხელთ იგდო ბრძოლის სადავეები. მსოფლიო ჩემპიონი ყურადღებით იგერიებდა მუქარას, მაგრამ მისი მეფე გამუდმებულ დაცვას საჭიროებდა. ამიტომ კარპოვმა უკან დააბრუნა ხარისხი და პაიკის დაკარგვას შეურიგდა.

კასპაროვი არ ჩქარობდა უპირატესობის რეალიზაციას. მაშინ, როცა კარპოვი საყაიმო გზების ძიებაში იყო, მან ეტლების გაცვლით კიდევ უფრო გაამარტივა თამაში, ხოლო ლაზიერით და კუთი დაამუხრუჭა თეთრების გამსვლელი პაიკის წინსვლა.

ამასობაში ამოიწურა თამაშისთვის განკუთვნილი დრო და პარტია გადაიდო. კასპაროვმა ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა.

გუშინ თამაშის განუახლებლად მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

თბილისის „დინამო“: ძიებისა და ექსპერიმენტის წელიწადი

სპორტულ ჟურნალისტიკაში ფეხბურთის თემა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია. ჩვეულებრივ, ამ თემაზე დაწერილი პუბლიკაციები ფეხბურთის მრავალრიცხოვან ქომაგთა შორის აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. ეს კი არა, ზოგჯერ საქმეში ჩახედული სპეციალისტის შეხედულებებიც კი მისი კოლეგებისა და გულშემატკივართა არმიის დავა-კამათის საგანი ხდება. შესაძლოა, ესეც ერთი დიდი ღირსებაა ფეხბურთისა, რომ იგი ყველას გამოათქმევინებს თავის აზრს, არავის ამყოფებს გულგრილს.

წერილს, რომელსაც ახლა გთავაზობთ, პირობითად ჟურნალისტის ჩანაწერები შეიძლება ვუწოდოთ. ესაა ერთგვარი ცდა წლევანდელი საფეხბურთო სეზონის შედეგების ანალიზისა, ოღონდ ცდა უპრეტენზიო, ყოველგვარ კატეგორიულობას მოკლებული. რედაქციას არ გაუკვირდება, თუ ჩვენს მოსაზრებებს ზოგიერთი მკითხველი ან სპეციალისტი არ გაიზიარებს. წერილის უპირველესი მიზანია დისკუსიაში ჩააბას მკითხველი, რომელსაც აღელვებს ქართული ფეხბურთის, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ ბედ-იღბალი.

წლევანდელი სეზონი კარგა ხანია დასრულდა, მაგრამ იგი კიდევ დიდხანს იქნება სპეციალისტთა და ფეხბურთის მოყვარულთა მსჯელობის საგანი. გვინდა თუ არ გვინდა, ფეხბურთი თითოეულ ჩვენგანზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს. ფეხბურთზე მსჯელობენ, კამათობენ, განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამენ საქმეში ღრმად ჩახედული, ზედმიწევნით გათვითცნობიერებული სპეციალისტები, მიმომხილველები და რიგითი ქომაგებიც. საბოლოოდ კი, სხვადასხვა შეხედულების შეფასება-გაცხრილვის შედეგად, იქმნება ჭეშმარიტი, ერთობლივი აზრი, რომელიც საფეხბურთო კონიუნქტურას ასახავს. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ფეხბურთი დემოკრატიული სპორტია და უკვე თავისი არსებით, სტრუქტურით, აუდიტორიით გულისხმობს საჯაროობას, გულწრფელობას, დიპლომატიას დაშორებულ პოზიციას. გამოაკელით ეს მხარე ფეხბურთს და ხელთ შეგრჩებათ განცალკევებულად მდგარი გუნდი, აუდიტორია და სპორტული პრესა. სწორედ შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლაა პროგრესის საწინდარი. თუ ნათლად არ გვექნება წარმოდგენილი, რატომ თამაშობს კარგად თუ ცუდად გუნდი, რა უჭირს და რა ულხინს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია, რატომ გაუსწრო ან ჩამორჩა კონკურენტებს, რაზე უნდა თქვას უარი ან პირიქით — რა შეინარჩუნოს და განავითაროს, მაშინ ჩვენი ფეხბურთი და მისი საუკეთესო წარმომადგენელი იქცევა საზოგადოებისაგან, უფრო ზუსტად, საფეხბურთო აუდიტორიისაგან იზოლირებულად. ერთი მხრივ, „დინამოს“, მის ხელმძღვანელობასა და მეორე მხრივ, საზოგადოებრივ აზრს შორის მთელი სეზონის მანძილზე იყო დაახლოების, ერთმანეთის გაგების, ურთიერთინფორმირების ცდები. გავიხსენოთ თუნდაც შუა სეზონში თბილისის სპორტის სასახლეში გამართული შეხვედრა: თბილისის „დინამო“ — გულშემატკივარი, რომელსაც ტელევიზიის საშუალებით მთელი საქართველო ადევნებდა თვალს. მთელი სეზონის მანძილზე იგრძნობოდა განსაკუთრებული მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრები იჩენდნენ გუნდის მიმართ. მთელი სეზონის მანძილზე „დინამოს“ რიცხვმრავალი აუდიტორია ჰყავდა; აუდიტორია, რომელიც მარტო ემოციურად კი არა, უაღრესად თავდაჯერილად, შეგნებულად უბამდა მხარს განახლების პროცესში მყოფ კოლექტივს. ამ აუდიტორიას სჯეროდა, რომ გუნდი შეძლებდა წინა სეზონში განცდილი მარცხის შემდეგ წელში გამართვას, რწმენის დაბრუნებას, მაღალი სტანდარტების დონეზე თამაშს. რა იყო ამ რწმენის საფუძველი?

ჯერ ერთი, თბილისის დინამოელებს „დიდი გუნდიდან“ შემორჩათ ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა ჯგუფი, რომელსაც შეეძლო პრაქტიკულად ემართა კოლექტივი და ხორცი შეესხა მწვრთნელთა ჩანაფიქრისთვის; მეორეც, გუნდმა მწარე გაკვეთილი მიიღო წინა სეზონში და შეუძლებელი იყო ამ შეცდომების გაუთვალისწინებლობა — ესე იგი, ადრე განცდილი მარცხი გარკვეული თვალსაზრისით სასარგებლო გამოცდილებად უნდა ქცეულიყო ჩვენთვის; მესამეც, კოლექტივს სათავეში ჩაუდგა ახალი ხელმძღვანელობა, რომელსაც ყოველივე უნდა ეღონა, რათა გაემართლებინა დაკისრებული დიდი ნდობა. აი, დაახლოებით ასეთი იყო ჩვენი გუნდი მეტად რთული სეზონის დამდეგს. თუ რამდენად გამართლდა ის იმედი, რასაც კოლექტივზე ვამყარებდით, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ძნელი იქნება „დინამო“-84-ის შედეგების შეჯამება-შეფასება, თუ არ გავითვალისწინეთ უმაღლეს ლიგაში შექმნილი ვითარება. ყველამ იცის, რომ ბოლო ორ-სამ წელიწადში ჩემპიონატში მოხდა ერთი შეხედვით დაუჯერებელი ცვლილებები. ჩემპიონატის ცხრილი თითქოს გადაყირავდა: მოწინავე, ტრადიციულად ძლიერი გუნდების მეტი ნაწილი სატურნირო ცხრილის შუაში ან სულაც ბოლოში მოექცა, ხოლო ჯერ კიდევ მცირე ხნის წინ „უპრესტიჟო“ კოლექტივებმა შესაშური მონდომებით იწყეს სატურნირო ცხრილის სათავისაკენ სწრაფვა. „ზენიტის“ წლევანდელმა ტრიუმფმა დაადასტურა ამ ახალი პროცესის შეუქცევადობა. მეტიც: გამორიცხული არ არის, რომ მინსკის „დინამოს“, „დნეპრის“, „ზენიტის“, „ჩერნომორეცის“ კვალდაკვალ უკვე გაისად სხვა „საშუალო“ გუნდებმაც განაცხადონ პრეტენზია პრივილეგიურ ადგილებზე. როგორც ჩანს, ეს პროცესი გარკვეული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შედეგია.

რატომ ვილაპარაკეთ ასე ვრცლად წლევანდელი, და არა მარტო წლევანდელი, ჩემპიონატის კონიუნქტურაზე? იმიტომ, რომ თბილისის „დინამოს“ მძაფრი კრიზისი, ხოლო შემდგომ დაკარგული პოზიციების დაბრუნება-რეკონსტრუქციის პროცესი დაემთხვა უმაღლეს ლიგაში ძალთა გადაადგილება-გადაფასების პერიოდს. „დინამოს“ ამჯერად მოუხდა ბრძოლა არა მარტო ტრადიციულ და აღიარებულ მეტოქეებთან, რომლებთანაც ათეული წლების მანძილზე აქვს დავა, არამედ პატივმოყვარე, ავტორიტეტების უგულებელმყოფელ კოლექტივებთან, რომლებსაც მოჭარბებულ ენერგიასთან და დაუხარჯავ ახალგაზრდულ ალტყინებასთან ერთად უდიდესი ბრძოლისუნარიანობა და ახალი ტაქტიკური იდეებიც აღმოაჩნდათ. ეს პროცესი, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ იკვლევენ, მაგრამ ბოლომდე ვერ ამოუხსნიათ, რომლისთვისაც დასრულებული შეფასება ჯერაც არ მოუციათ, დიდ გავლენას ახდენდა ჩვენი გუნდის ბედ-იღბალზეც. ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს... ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა და შეუფასებლობა არ იქნება მართებული, როცა „დინამო“-84-ზე ვსაუბრობთ.

მაშ ასე: ამ პროცესმა, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა წლევანდელ ჩემპიონატში, გუნდის ამოცანა კიდევ უფრო გაართულა. მაგრამ ალბათ ეს მაინც არ იყო ის მთავარი ტვირთი, რომელიც კოლექტივის მხრებს აწვა. „დინამოს“. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო „სარეკონსტრუქტორო სამუშაოები“ ედო წინ.

მაინც რა იყო გუნდის ზემოცანა?

უწინარეს ყოვლისა, თვით კოლექტივის შექმნა და საკუთარი ხელწერის პოვნა: გაბზარული რწმენის გამრთელება; ოდინდელი ავტორიტეტის აღდგენა.

შესაძლოა, ზოგიერთს ჩვენი ნათქვამი ტრივიალურ მოსაზრებათა კონსტრუქციად ეჩვენოს. მაგრამ ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური იყო 1984 წლის სეზონის დაწყების წინ; არასოდეს თბილისის „დინამო“ არ დაშვებულა ისე დაბლა სატურნირო ცხრილში, როგორც 1983 წლის სეზონში; არასოდეს შერყეულა მისი რეპუტაცია ესოდენ სერიოზულად და არასოდეს დამუქრებია ასე რეალურად უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე. ამ პროცესს დიდი რეზონანსი ჰქონდა ჩვენშიც და მთელს კავშირშიც. თუ რა იყო „დინამოს“ ფიასკოს მიზეზი, ეს ბოლომდე მაინც ვერ დავადგინეთ. სპეციალისტთა პასიურობამ და კოლექტიურმა დუმილმა გზა გაუხსნა და ხელშემწყობი პირობები შეუქმნა ფეხბურთის დილეტანტთა მცდარ ანალიზს და მითქმა-მოთქმას. ასე ხდება მუდამ, როცა კეთილგანწყობილ, კვალიფიციურ, გულწრფელ და მომავალზე ზრუნვით ნაკარნახევ კრიტიკა-ანალიზს ენაცვლება ფეხბურთისაგან საკმაოდ შორს მდგარი და ტენდენციური გულშემატკივრების უაპელაციო, კატეგორიული მსჯავრი. ზოგნი ამბობდნენ, თბილისის „დინამოს“ ნიჭიერი თაობა 1976 წლიდან ვიდრე 1982 წლამდე ფანტასტიკური გამარჯვებების სერიის ავტორი იყო და ამან მისგან ფიზიკური და ნერვული ენერგიის მაქსიმალური გაღება მოითხოვა; გუნდის მაშინდელ ხელმძღვანელებს გაუჭირდათ ამ პროცესის წინასწარ განსაზღვრა. იმასაც ამბობდნენ, რომ „დინამოს“ მაშინდელ თაობას, რომელმაც თითქმის ყველა ტიტული მოიხვეჭა და ყველა რანგის მეტოქე დაამარცხა, მოჰყირჭდა თამაში და ყელში ამოუვიდა ბურთიც და მოედანიცო. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი ემხრობოდა იმ აზრს, რომ „დინამოს“ შემადგენლობიდან ნაადრევად დაითხოვეს მოთამაშეთა ჯგუფი, ისე, რომ მათს სანაცვლოდ საიმედო ფეხბურთელები არ მოუძებნიათ და არ მოუწვევიათ. უნდა ვთქვა, რომ პირადად მე ამ აზრს ვერა და ვერ გავიზიარებ. ჩემი ღრმა რწმენით, არ არსებობს მწვრთნელი, რომ საუკეთესო ფეხბურთელებს უმიზეზოდ უშვებდეს გუნდიდან და, მით უფრო, საიმედო ცვლაზე არ ფიქრობდეს. უდავოა, როცა გუნდის სამზარეულოში არა ხარ ჩახედული, ძნელია გაარკვიო რატომ მიდის კოლექტივიდან ესა თუ ის მოთამაშე.

ასე იყო თუ ისე, „დინამო“ 1984 წლის დამდეგს აუტსაიდერის უჩვეულო როლში აღმოჩნდა და მას ახალბედა გუნდების დარად ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო! აი, ასეთი გუნდი ჩაიბარა ახალმა უფროსმა მწვრთნელმა, რომელსაც ამ უაღრესად საპასუხისმგებლო, ურთულეს თანამდებობაზე მუშაობის თითქმის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ასეთი რამ ან საერთოდ არ ხდება ფეხბურთში (ვგულისხმობთ უმაღლესი რანგის ფეხბურთს), ან ხდება ისე იშვიათად, რომ შეუძლებელია ლოგიკურ კანონზომიერებად მივიჩნიოთ. მაგრამ დავით ყიფიანი მილიონობით გულშემატკივრის წარმოსახვაში არ არის არც ჩვეულებრივი ფეხბურთელი და არც ორდინალური პიროვნება. იგი დიდხანს იყო თავისი გუნდის ერთგვარი „საფირმო ნიშანი“ და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა არა მარტო მის სათამაშო და საშემსრულებლო სტილს, არამედ ტაქტიკურ ნახაზსაც. უფრო ძლიერი კონსტრუქტორი და ნიჭიერი ტაქტიკოსი თბილისის „დინამოს“ იშვიათად ჰყოლია თავისი ისტორიის მანძილზე. გარდა ამისა, დავით ყიფიანი იმითაც პასუხობდა გულშემატკივართა იდეალს, რომ მას მიიჩნევდნენ ზედმიწევნით გონებაგახსნილ და ინტელექტუალურ პიროვნებად, რომელსაც მარტო საფეხბურთო ამოცანების გადაწყვეტა როდი შეეძლო. ყიფიანი, რა თქმა უნდა, არ იყო მოკლებული წინამძღოლის თვისებებსაც. საერთოდ კი, მთელი მისი საფეხბურთო ნიჭი და პიროვნული ინტელექტი ლამის მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა არა მარტო გუნდსა და ფეხბურთის ქომაგებზე, არამედ საზოგადოებრივ აზრსა და სპორტულ პრესაზეც.

გუშინდელი გმირი მოულოდნელად იქცა ერთ-ერთი ყველაზე რთული, საპასუხისმგებლო და ზოგჯერ უმადური პროფესიის მსახურად, როგორიც, საზოგადოდ, უფროსი მწვრთნელობაა. თან ამ სირთულეს აორკეცებდა ისიც, რომ ეს იყო არა უბრალოდ უმაღლესი ლიგის გუნდი, არამედ თბილისის „დინამო“.

სხვათა შორის, განვლილი სეზონის ერთ-ერთ საგულისხმო მომენტად, ჩემი აზრით, ერთი „სუბიექტური“ ფაქტორიც უნდა ვიგულისხმოთ. სპორტულმა პრესამ, ალბათ, წინა სეზონში განცდილი მარცხისა და იმის გამო, რომ ამ მარცხზე იგი ზედმიწევნით თავშეკავებული წერდა, რითაც ცუდ სამსახურს უწევდა კოლექტივს, მოულოდნელად შეცვალა კურსი და შეუფარავი, გულწრფელი კრიტიკის გზას დაადგა. სამწუხაროდ, ეს მოულოდნელი აღმოჩნდა თვით გუნდის ხელმძღვანელობისათვის. ლოგიკურად მათი პოზიცია არ იყო უცნაური: თუ წინათ ყველას წყალი ჰქონდა ჩაგუბებული პირში, თუ ასე ფრთხილად წერდნენ და ლაპარაკობდნენ თბილისის „დინამოს“ შესახებ, ახლა რა დაემართათ, რამ „გაამწარათ“, ხომ არ უდის ამგვარ პოზიციას „კრიტიკანობის“ სუნიო? აი, დაახლოებით ასეთი იყო გუნდის ხელმძღვანელებისა და ამ საკითხში ზოგიერთი მათი თანამოაზრის შეხედულება. მაგრამ სპორტულმა პრესამ ერთხელ უკვე გვარიანად დააშავა და მწარედაც შეცდა, როცა ნებაყოფლობით თუ ზოგიერთი სპეციალისტის ზეგავლენით ყადაღა დაადო ამ თემას. მაგრამ ამდაგვარი პოზიცია, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი და აი, რატომ: 1984 წლის დამდეგიდან სპორტული პრესის მუშაკებმა ფეხბურთისა და საერთოდ სპორტის ნებისმიერი სახეობის მიმართ პრინციპულად შევიცვალეთ დამოკიდებულება და „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციას დავადექით. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთ პრაქტიკას სარგებლობის მეტი არაფერი მოუტანია არც ფეხბურთისათვის, არც სპორტის არც ერთი სხვა სახეობისთვის. სხვა საკითხია, რამდენად პროფესიულად ვართმევთ თავს ამ ამოცანას, რამდენად მწვავედ და კვალიფიციურად წარმოვაჩენთ ქართული სპორტის მიღწევა-ნაკლოვანებებს, მაგრამ ჩვენი კურსი რომ სწორია, წლევანდელმა სპორტულმა სეზონმაც დაგვარწმუნა. თუმცა, ვიმეორებ, პრობლემები ჩვენც მრავლად გვაქვს და ყოველნაირად ვცდილობთ მათს დაძლევას. სპორტისა და პრესის, კერძოდ, თბილისის „დინამოსა“ და სპორტული პრესის მიზნები და ინტერესები სრულებით განუყოფელია ერთმანეთისაგან; ისინი ერთმანეთს ავსებენ, ამთლიანებენ, ერთი ამოცანის გადასაწყვეტად არიან მოწოდებულნი: დააწინაურონ ქართული სპორტი და მისი სახელი რაც შეიძლება შორს გაიტანონ. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მასთან კამათი უაზრობა იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, „შინაურ“ პრესასა და საზოგადოებრივ აზრზე უკეთეს და გულწრფელ სამსახურს თავისი „ოპონენტობით“ თბილისის „დინამოს“ ვინ გაუწევს? ცხადია, ამას ვერ შეძლებენ „გასტროლიორები“, რომლებიც ჩვენი გუნდის მიმართ ქათინაურებს არ იშურებენ, ნაკლზე კი იშვიათად გვითითებენ. ასეთმა პრაქტიკამ შექმნა და ჩამოაყალიბა ერთგვარი სტერეოტიპი, რომელიც ხშირად მხოლოდ გუნდისა და მისი ხელმძღვანელობის თვითდამშვიდებას უფრო უწყობს ხელს. გაჭირვების ჟამს ამგვარ თანაგრძნობასა და ამაო ნუგეშისცემას ისევ შინაურის მკვახე შეძახილი გვერჩიოს. ეს, სხვა რომ არა იყოს რა, გუნდს მოდუნებისა და თვითკმაყოფილების საშუალებას არ მისცემს.

ახლა, რაკი სათქმელი უკვე ითქვა გუნდისა და პრესის ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი ერთობლივი მიზან-ამოცანების თაობაზე, ბარემ აქვე შევაფასოთ კოლექტივის თამაში, ოღონდ ჭარბი სტატისტიკის გარეშე, ვინაიდან ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა.

„დინამომ“ და მისმა ხელმძღვანელობამ მცდელობა არ დააკლეს, რომ გუნდს თავისებური ნახტომი გაეკეთებინა სატურნირო ცხრილში და აუტსაიდერის უსახელო ტიტული ჩამოეშორებინა; „დინამომ“ წარმატებულად დაძლია ეს ამოცანა: მეთექვსმეტე და მეშვიდე ადგილები, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის. ნახტომი მართლაც გაკეთდა. საფეხბურთო სტატისტიკა, ყველა გაანგარიშების მიხედვით, „დინამოს“ წლევანდელ ადგილს უდავოდ მაღალ შეფასებას მისცემს და ეს სწორი იქნება. ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვართ ჩვენც, გუნდის მრავალრიცხოვანი ქომაგები. უნდა ვიფიქროთ, რომ სპორტული შედეგით მაინცდამაინც გულნაკლულნი არ უნდა იყვნენ თვით მოთამაშეები და მწვრთნელებიც; რაც უნდა იყოს, „დინამომ“ წლეულს ოფიციალურად მოიპოვა ერთ-ერთი ჯილდო — „პროგრესის თასი“. მაგრამ რა ხშირად მოგვისმენია ზოგიერთი ფიქრიანი მწვრთნელის განცხადება მატჩის ან სეზონის შემდგომ: შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხით არაო. და ეს თითქმის არასოდეს არ არის კეკლუცობა ან თავის დაზღვევის ხერხი. მართლაც, რომელ მწვრთნელს, რომელ მოთამაშეს, რომელ გულშემატკივარს არ უნდა, რომ შედეგი და ხარისხი ერთმანეთს შეეფარდებოდეს, ერთმანეთის სინონიმები იყოს; რაც „დინამო“-84-ზე ვლაპარაკობთ: შედეგი დამაკმაყოფილებელია, თამაშის ხარისხი კი — არადამაკმაყოფილებელი. რამდენიც უნდა ვწეროთ, რამდენიც უნდა ვკამათოთ, ეს ყველასთვის ცხადზე ცხადია და დაფარვა ნამდვილად არ ივარგებს.

ახლა ნათქვამის დასტურად მოვიხმოთ ასეთ თემას: რა არის ნებისმიერი გუნდის რეალური ძალისა და შესაძლებლობების ყველაზე უტყუარი საზომი? ალბათ ის მატჩები, რომლებსაც პრინციპულსა და საეტაპოს ვუწოდებთ ხოლმე; ასეთ მატჩებში, ყველაზე ძლიერ კონკურენტებთან გამოიკვეთება გუნდის სიძლიერის კრიტერიუმი. „დინამო“-84 თითქმის მუდამ აგებდა ასეთ პრინციპულ თამაშებს (კიევის „დინამო“, „ტორპედო“, „დნეპრი“, „ზენიტი“, „ჩერნომორეცი“, „სპარტაკი“...). ამას არ შეიძლება უარყოფითად არ ემოქმედა გუნდის, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდა მოთამაშეების საბრძოლო სულისკვეთებასა და განწყობაზე, მარათონული სეზონის მანძილზე ჩემპიონატისადმი და ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისადმი მათს დამოკიდებულებაზე. ერთი სიტყვით, თბილისის „დინამომ“ შეძლო შედარებით საპატიო ადგილი დაეკავებინა ჩემპიონატში, მაგრამ მისი თამაშის საერთო კლასმა, რომელმაც მძაფრი და უშეღავათო გამოცდა გაიარა, აშკარად უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა. ეს შეგრძნება კიდევ უფრო გაამძაფრა სეზონის ბოლო მატჩებმა. არადა, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, რას ნიშნავს ჩემპიონატის ეპილოგი, როცა გუნდები მაქსიმალურად უნდა ავლენდნენ თავიანთ შესაძლებლობას. სეზონის მიწურული ხომ ფაქტიურად მომავალი სეზონის დასაწყისია. ამიტომ ბოლო მატჩებში, ჩვეულებრივ, მარტო ქულებისა და ადგილებისთვის არ იბრძვიან; იბრძვიან იმისთვისაც, რომ ახალ სეზონს მაჟორული, ოპტიმისტური განწყობით შეხვდნენ, ხოლო გულშემატკივრებს იმედი გაუღვივონ. თანაც, უშუალო კონკურენტებს დამაგვირგვინებელ მატჩებში გამოვლენილი კლასითა და ნებისყოფით მომავალი სეზონისთვისაც რიდი და კრძალვა უნდა ჩაუნერგო. უამისოდ სამერმისო მიღწევებზე ფიქრს ფსიქოლოგიური საფუძველი ეცლება.

ალბათ სპეციალისტები უფრო კომპეტენტურად და საფუძვლიანად გააანალიზებენ ჩვენი გუნდის ნაკლოვანებებს. კერძოდ, გასარკვევი და დასადგენია, რატომ ვერ მოხერხდა წლეულს ბოლომდე ბრძოლისუნარიანი, საკუთარ ძალში დაჯერებული და მაღალი კლასის გუნდის ჩამოყალიბება. ამ კარდინალურ პრობლემაზე პროფესიული და, რაც მთავარია, პირუთვნელი მსჯელობა ნამდვილად საჭიროა. ნათქვამია: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. თუ ჩვენსავე ნაჭუჭში ჩავიკეტებით, სხვათა შეხედულებას, ობიექტურ შენიშვნასა და რეკომენდაციას ახლოსაც არ გავიკარებთ, ეს ზიანის გარდა არაფერს მოგვიტანს. აქი პრაქტიკა ადასტურებს კიდეც ამას: საჯაროობის უგულებელყოფამ სპორტის ბევრი სახეობა დააზარალა და ახლა შეცდომების გამოსწორებას ვუნდებით.

ჰყავდა თუ არა თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები, რომელთაც შესწევთ ძალა უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელებისათვის დაკისრებული ფუნქცია შეასრულონ? შეეძლოთ თუ არა მათ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობებით კონკურენცია გაეწიათ ახლად აღზევებულ გუნდებში მრავლად მოსული ახალგაზრდებისთვის? იმ გუნდებისთვის, რომელთა დევიზია მაქსიმალური სისწრაფე, რაც მარტო მოძრაობას კი არა, ტექნიკური ილეთების უსწრაფეს შესრულებასაც გულისხმობს, შეუნელებელი და ცვალებადი ტემპი, პრესინგი მთელ მოედანზე, პერსონალური ბრძოლა მინდვრის თითოეულ მონაკვეთში, ხაზგასმული კოლექტივიზმი, მძლავრი შუა ხაზი, რაც უზრუნველყოფს დაცვისა და თავდასხმის მჭიდრო კონტაქტებს, ათლეტიზმი, სტანდარტული მდგომარეობის მაქსიმალური გამოყენება, ფეხბურთის უახლეს მიღწევებსა და კონცეფციებზე დაფუძნებული ტაქტიკური სქემების შემოქმედებითი გააზრება და რეალიზაცია. მეტწილად ამ კომპონენტებში ჩვენ ჩამოვუვარდებოდით მთავარ კონკურენტებს. ნათქვამი სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს „დინამოს“ ახალი თაობა უუნარო იყოს და სათანადო წვრთნა-ვარჯიშის, ფსიქოლოგიური წრთობისა და მეცნიერულ საფუძველზე წარმართული მზადების შემდეგ ბევრად უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტა არ შეეძლოს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ინდივიდუალური და პოტენციური შესაძლებლობების მხრივ „დინამოს“ ამჟამინდელი შემადგენლობა — ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც — საკმაოდ ძლიერია. სხვა საკითხია, რომ მიზეზთა გამო ეს შესაძლებლობები ამ სეზონში ნაკლებად გამოვლინდა, ხოლო მთლიანობაში გუნდმა უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა. ეს განსაკუთრებით ეხება ძნელად ასახსნელ, სრულიად გაუგებარ დამარცხებებსაც შედარებით სუსტ გუნდებთან და ზოგიერთ წამყვან კოლექტივთან შეხვედრებში ქარს გატანებულ ქულებსაც. მაგრამ, როცა გაუგებარი დამარცხება რამდენჯერმე მეორდება, ეს უკვე გაუგებრობიდან კანონზომიერებად იქცევა და გუნდის წევრების არამდგრად მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მეტყველებს.

ახლა ძნელია, თუ საერთოდ შეუძლებელი არა, „დინამოს“ შემადგენლობაში წლეულს გამოსული თითოეული ფეხბურთელის გამოწვლილვით დახასიათება, რაც უფრო სპეციალისტის პრეროგატივად მესახება. მაგრამ მათი შეფასება არათუ მართებულია, არამედ აუცილებელიც. ხომ უნდა იცოდნენ გუნდის წევრებმა, როგორ ითამაშეს წლევანდელ სეზონში, რა შთაბეჭდილება დაგვიტოვა მათმა თამაშმა. მაგრამ უკლებლივ ყველა ფეხბურთელის დახასიათებას, დიდი სურვილის მიუხედავად, მაინც ვერ გავწვდებით: „დინამომ“ ექსპერიმენტულ სეზონში, თუ არ ვცდები, ძირითად შემადგენლობაში სამ ათეულამდე ფეხბურთელი გამოსცადა. ამჯერად მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე მოგახსენებთ, რომლებმაც, ჩემი აზრით, ზიდეს სეზონის ტვირთი.

დავიწყოთ მეკარით: **აბუსერიძემ** გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. მას არ აკლია ეგრეთ წოდებული „სკოლა“. ასაკის კვალობაზე საკმაოდ კარგად არის დაუფლებული მეკარის ოსტატობას. მაგრამ, მიუხედავად ამ ღირსებისა, იგი მაინც ვერ ვიგულეთ საიმედო მეკარედ. ჯერჯერობით მის თამაშს დამაჯერებლობა აკლია, რაც მარტოოდენ ოსტატობითა და გულმოდგინებით არ მიიღწევა. როგორც ჩანს, მან უფრო მეტად უნდა ირწმუნოს საკუთარი შესაძლებლობები, გამოასწოროს ზოგიერთი ნაკლი, კერძოდ, გამოიმუშაოს კარიდან დროულად გამოსვლის უნარი.

კეტაშვილი — უდავოდ ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელი, რომელსაც არაორდინალური თამაშის უნარი შესწევს. მან საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებშიც გამოიჩინა თავი. იგი უკვე შენიშნეს უცხოელმა სპეციალისტებმა. თბილისის „დინამოს“ მოზაიკას უთუოდ ორგანულად შეერწყა კეტაშვილისეული თამაშის მანერა. ეს არის ტექნიკური, სხარტი და ოპერატიული აზროვნების მქონე მოთამაშე, რომელიც ნიადაგ ისწრაფის მეტოქის კარის საიერიშოდ და დასალაშქრავად. მაგრამ, სამწუხაროდ, კეტაშვილის თამაშში შეინიშნება ზოგიერთი ნაკლი: იგი ზედმეტად თავდაჯერებულია, პუნქტუალურად არ ასრულებს მცველის ფუნქციებს და ხშირად ვერ ასწრებს იერიშის დასრულების შემდეგ უკან დაბრუნებას, რაც შესამჩნევად ურთულებს ამოცანას მის პარტნიორებს. გარდა ამისა, ალბათ, ესეც საკითხავია: თავისი მოწოდებითა და მონაცემებით იგი ნახევარმცველი უფროა თუ მცველი?

მიქაბერიძე საიმედო მოთამაშეა, რომელიც, კეტაშვილისა არ იყოს, იერიშზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე დაცვაზე. ეს, როგორც ჩანს, მწვრთნელთა დავალებაცაა. მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს ფეხბურთის „ოქროს კანონი“: უწინარეს ყოვლისა, მცველმა უნდა უვნებელყოს მის ზონაში მყოფი თავდამსხმელი, ხოლო საიერიშოდ წასული მცველის ადგილი, თუკი იგი უკან მობრუნებას ვერ ასწრებს, უთუოდ რომელიმე პარტნიორმა უნდა დაიკავოს. გარდა ამისა, მიქაბერიძე მთელი მატჩის მანძილზე ვერ ანაწილებს ძალას, იღლება და მისი თამაში ზოგჯერ შესამჩნევად უფერულდება.

არზიანი — ფიზიკურად ძლიერი, ზედმიწევნით მონდომებული მოთამაშე, რომელიც მაქსიმალურად აქსოვს ბრძოლაში თავის შესაძლებლობებს. იგი აქტიურად მონაწილეობს იერიშშიც, ეხმარება ნახევარდაცვას, მზად არის დაცვაში პარტნიორების „დასაზღვევად“, ძლიერია ორთაბრძოლებში. მაგრამ არზიანის თამაშს აკლია იმპროვიზაციის ელემენტი, რის გამოც მის ტაქტიკურ აზროვნებას ერთფეროვნების დაღი აზის — ეს კი მეტოქეს ამოცანას უადვილებს. იგი მძლავრად ურტყამს, მაგრამ ამ დარტყმას სიზუსტე აკლია. ამ და სხვა ელემენტების გაუმჯობესების შემდეგ მისგან უთუოდ კარგი ფეხბურთელი დადგება.

ერთ-ერთი ლიდერის ფუნქცია მაინც სრულფასოვნად ვერ იტვირთა, ვინაიდან მის თამაშს დამაჯერებლობა აკლდა, თუმცა ცალკეულ მატჩებსა და ეპიზოდებში ძლიერი ფეხბურთელის ხელწერა იგრძნობოდა.

კაკილაშვილი — ფეხბურთელი, რომელიც წლიდან წლამდე გვპირდება, რომ გუნდის ერთ-ერთ მძლავრ ძალად მოგვევლინება. საამისოდ მას თითქოს არაფერი აკლია: არც დახვეწილი ტექნიკა, არც შესანიშნავი დრიბლინგი და ცრუმოძრაობა, არც საკმაოდ კარგი გადაცემები, არც ძლიერი და ზუსტი დარტყმა... მაგრამ ამ თვისებათა სრულფასოვან გამოყენებას აძნელებს, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელსაც ხდის ნებისყოფის სიმტკიცის უკმარობა, აგრეთვე, შედარებით სუსტი ფიზიკური მომზადება. ამის გამოა, რომ კაკილაშვილი სეზონის მანძილზე უთანაბროდ ატარებს მატჩებს: ზოგჯერ — დიდებულად, უფრო ხშირად კი — საშუალოდ და სუსტად. კაკილაშვილს მთლად ახალგაზრდა ფეხბურთელობაც აღარ ეთქმის, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუალო თაობის ფეხბურთელია, საკმაოდ გამოცდილიც არის, და, ჩემი აზრით, გაისად მაინც უნდა დაგვანახვოს თავისი რეალური ძალა, ოღონდ სტაბილურად, როგორც მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთელს შეეფერება.

ჩქარეული — ჯერაც „გაუხსნელი“ ფეხბურთელი, რომელიც საკმაოდ ტექნიკურიცაა, არც ტაქტიკური აზროვნების უნარი აკლია, ოსტატური დრიბლინგით არცთუ იშვიათად ალტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო ეს ნიჭიერი ფორვარდი, რომელსაც კარის დალაშქვრაც შეუძლია და მეტოქის საჯარიმო მოედანზე დაძაბულობის შექმნაც, ვერ იქცა „ორი ტაიმის“ მოთამაშედ. დღემდე გაუგებარია ისიც, თუ რა იმედებს ამყარებენ ამ ფეხბურთელზე გუნდის ხელმძღვანელები.

ცაავა — ალბათ, ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელსაც ახალგაზრდებიდან ყველაზე მეტად ძალუძს „დინამოს“ აღიარე- [illegible] მოლოდინი. ვფიქრობთ, მან თავად უნდა იზრუნოს კრიზისისგან თავის დაღწევისთვის, თორემ საუკეთესო წლები ისე შემოადნება ხელში, რომ ჩვენს ფეხბურთში თავისი ნიჭის შესაფერ კვალს ვერ დატოვებს.

მესხი — ზედმიწევნით „თბილისური“, ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელიც თავისთავადი ტექნიკითა და ტაქტიკური აზროვნებით გამოსარჩევია. ეს გახლავთ მოთამაშე, რომელიც არ ცნობს შტამპსა და ტრაფარეტს, შეუძლია ნებისმიერი სიხშირის დაცვის გარღვევა, მეტოქის საჯარიმოში არევ-დარევის შეტანა, პარტნიორებისათვის ბურთის ზუსტად ჩაწოდება. მაგრამ მესხის თამაშს აკლია სტაბილურობა, ინიციატივა პარტნიორებთან კონტაქტების გასაბმელად, თორემ ზოგჯერ იგი გუნდისაგან იზოლირებული ჩანს. გარდა ამისა, მესხმა უნდა დახვეწოს დარტყმა და სტანდარტული პოზიციების გამოყენების უნარი.

ჟვანია — უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელმაც ვერა და ვერ მიაგნო თავისი შესაძლებლობების გამოვლენის გზას. ეს გამოწვეული უნდა იყოს არა მისი ტექნიკურ-ტაქტიკური უუნარობით (საკმაოდ გამოცდილი ოსტატია), რამდენადაც ფსიქოლოგიური მდგომარეობით. გადალახავს თუ არა სპორტსმენი ამ მორალურ-ფსიქოლოგიურ ბარიერს, ამაზე ბევრადაა დამოკიდებული მისი შემდგომი პროგრესი და ადგილი საქართველოს საუკეთესო გუნდში. ისე კი, საწყენი იქნება, თუ ნიჭიერმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო „დინამოსათვის“ სარგებლობის მოტანა.

ჩივაძე, სულაქველიძე, შენგელია, გუცაევი, — 1981 წლის დიდი გუნდიდან შემორჩენილი შესანიშნავი ოთხეული, რომელიც, ცხადია, კვლავ რჩება „დინამოს“ ძირითად ძალად. თითოეული ცალცალკე კარგი მაგალითია ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის. მაგრამ ამ ოთხეულს მეტი შეუძლია — პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა ფეხბურთელებთან კონტაქტის თვალსაზრისით. რას ნიშნავს ეს? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვეტერანებისა და ახალგაზრდების თამაში ბოლომდე ორგანულად ვერ შეერწყა ერთმანეთს და ამიტომ „დინამოს“ უჭირს უმთავრესი მიზნების განხორციელება. არადა, ოთხეულზე ბევრად არის დამოკიდებული, რამდენად დაჩქარდება ახალგაზრდობის დაოსტატების პროცესი და, საერთოდ, როგორი იქნება გუნდის ხვალინდელი დღე.

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამოს“ ამ შემადგენლობითაც შეუძლია თამამად გაუსწოროს თვალი მერმისს, რომელიც პირადად მე ერთობ იმედიანად მესახება. განა ტყუილად წერდა „ფუტბოლ-ხოკეი“, საკავშირო ჩემპიონატს ეშხი და ლაზათი მოაკლდება, თუ თბილისის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის ლიდერად არ დარჩაო. ამ აზრს იზიარებს ყველა, ვინც დაახლოებით მაინც იცის ჩვენი ეროვნული ფეხბურთის ასავალ-დასავალი. 1984 წელი გუნდისათვის იყო მართლაც ჭკუის სასწავლებელი სეზონი, რომლის შედეგებიც, დარწმუნებული ვარ, უდიდესი ყურადღებით გაანალიზდება არა მარტო „დინამოს“ ლაბორატორიაში, არამედ ცნობილ სპეციალისტთა წრეშიც.

წინ ზამთარი გვიდევს და გაზა- [illegible]

არჩილ პოკლაძე.

40
გამარჯვება

როგორ ჩამოართვეს ედისონს დიპლომი

რაც მთავარია, ჭადრაკს არ ეშვებოდა. როგორც კი თავისუფალ დროს იშოვნიდა, მიჯდებოდა კუთხეში, ჯიბის ჭადრაკს ამოიღებდა და პარტიების გარჩევას შეუდგებოდა. მსჯელობდა, თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიღაცას ედავებოდა: „ცდები, მეგობარო", „აბა მიპასუხეთ", „ფრთხილად!", „ესეც შენ, დაისაჯე"!. წამოისვრიდა ხოლმე ამ სიტყვებს სვლების გაკეთების დროს. ეს არ მოსწონდა ზემდეგს, ჭკუაზე არ შეიშალოს და არ დაგვვრიოსო, გვეტყოდა ხოლმე.

ბრიგადა დაიძრა ჩრდილოეთისაკენ — ჯერ მატარებლით ქალაქ ბელოგორიამდე, შემდეგ კი ქვეითად ვიარეთ ათი ღამე. ეს იყო უძნელესი მარში. მივდიოდით გადამწვარ, ყუმბარებით გადათხრილ მიწაზე, მალე ცხენებისთვის საკვები შემოგველია, ვერც ვერაფერი ვიშოვნეთ ახლომახლო. ერთხანს კიდევ ათრიეს საცოდავმა პირუტყვებმა ქვემეხები და მალე ჩვენი სათრევი გახდა ყველაფერი. აღმართში გამოვხსნიდით ქანცგამოლეულ ცხენებს, ჩვენ თვითონ შევებმებოდით და სულ მუხლზე ფორთხვით აგვქონდა. ამ დროს გამოჩნდა დუბინინის ძალა და ენთუზიაზმი. იგი იქ იყო, სადაც გვიჭირდა, იქ გაისმოდა მისი ბოხი ხმა.

— აბა, ერთად ბიჭებო, ცოტა კიდევ და შამათი გარდაუვალია—

... დილით ზემდეგმა პური მოგვიტანა. ფორანზე დადო და დამნაშავის ხმით თქვა:

— რა ვქნა ძმებო, გაყინულა, თივაში გავახვიე, მაგრამ წუხელ ყინვამ 24 გრადუსს მიაღწია. თივა რას დააკავებდა.

გაყინული პური!

ხელში ავიღე, ქვასავით მძიმე იყო, ფიცარს დავცხე, ფინჩხაც ვერ ჩამოცილდა, დანამ ვერაფერი დააკლო, ბოლოს ნაჯახი დავკარი და როგორც იყო ყუა ჩამოვაცილე. თითო პური ოთხი კაცისათვის უნდა გაგვეყო. რაც მთავარია, ხომ უნდა გვეჭამა — ნაჯახმა ვერაფერი დააკლო და კბილი რას უზამდა?

მეორე დღესაც გაყინული პური მოგვიტანეს, მესამე დღეს ნაჯახი სადღაც დაგვეკარგა და იძულებული გავხდით კოცონზე გაგვეფიცხებინა.

— უნდა მოვიფიქროთ რამე, ასე არ შეიძლება. — თქვა დუბინინმა. — გაფიცხებული პური იფხვნება, ხავი ეკარგება, ვზარალდებით.

ის დღე ნახევრად დანგრეულ სოფელში გავათენეთ. გარეთ გამოსვლისა და ცეცხლის დანთების უფლება არ მოგვცეს: გერმანელთა თვითმფრინავები დაბლა დაფრინავდნენ, იმდენად დაბლა, რომ ხანდახან ზედ სახლის თავზე გაიშლიგინებდა ხოლმე თავხედი „იუნკერსი".

ყველა დასასვენებლად მოვეწყეთ. დუბინინი კი ამ უპატრონო ქოხში რაღაცას ეძებდა, ყველა კუნჭული მოჩხრიკა, სხვენზეც აძვრა, სარდაფიც მოინახულა. შემდეგ ჩემს გვერდით წამოწვა და ვიდრე ფარაჯას თავზე გადაიფარებდა, გადმომილაპარაკა.

— გაყინული პურის პრობლემა გადაიჭრა.

— რა აღმოაჩინე?

— დილით ნახავ...

— ედისონი ხარ?

— ვინ არის ედისონი? — შემეხმიანა ბურდიაკი.

— დუბინინი. რაღაცა გამოვიგონეო, არ გათავდა მაგის ჩხირკედელაობა.

ღამეც იმ ცივ ქოხში გავათენეთ. გათენებამდე მოგვადგა ზემდეგი. პური, შაქარი და თამბაქო მოგვიტანა.

დუბინინმა ხელში აიღო გაყინული პური და თქვა:

— მოგროვდით მაგიდასთან. მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ ამოიხსნება ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემა. ასე აკეთებდა თავის დროზე ედისონი.

შემდეგ უბიდან ხელის ხერხი ამოიღო, პური ოთხ ადგილას მონიშნა და სიტინინი იხმო.

— პირველი ნაჭერი თქვენია, ქუდი შეუშვირეთ ნახერხს, ისიც თქვენ გეკუთვნით.

სიტინინმა მაშინვე მოიშველიპა თავიდან ქუდი. დუბინინმა ხერხი დაადო პურს და გახერხა.

იმ პირობებში ეს ნამდვილი „აღმოჩენა" იყო. ამიტომ, ბურდიაკის წინადადებით, დუბინინს მეტსახელად ედისონი შევარქვით. არა სწყენია, შეიფერა. როდესაც პური აფთიაქის სასწორის სიზუსტით გაყო, ხერხი უბეში ჩაიდო და სერიოზულად გამოგვიცხადა.

— ჩემი ბიოგრაფიის ყველა დეტალს თვალის ჩინივით ვუფრთხილდები. თუ თქვენ ამ უმნიშვნელო მიხვედრისათვის ედისონი მიწოდეთ, მაშინ დიპლომიც მომეცით, რაღაც მოწმობა.

სერჟანტ ბურდიაკს, კახოვკელ მასწავლებელს, ეხერხებოდა წერა, ამიტომ მას მივანდეთ დიპლომის შედგენა. იგი კუთხეში მიჯდა და ვიდრე ჩვენ საუზმეს მოვამზადებდით, ტექსტი შეადგინა.

„1942 წელი, კალინინის ოლქი, სოფელი ნოვი სოკოლი. ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, 26-ე განსაკუთრებული ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მმართველი ოცეულის მეომრები, ვადასტურებთ, რომ სპორტის ოსტატმა დუბინინმა გადაჭრა გაყინული პურის ნამცეცის დაუკარგავად განაწილების პრობლემა. თუ როგორ მიაღწია ამას, აქ არ ვწერთ. შეიძლება დიპლომი დაიკარგოს და ასეთი დიდი „სახელმწიფოებრივი საიდუმლო" გამჟღავნდეს.

ამიერიდან კონსტანტინე ივანეს ძე დუბინინი იწოდებოდეს ედისონად, ვინაიდან მან თავისი მახვილი ჭკუით იმდენი გააკეთა ჩვენი ოცეულისათვის, რამდენიც ედისონმა კაცობრიობისათვის. ვაშა ედისონს!".

დუბინინს მოეწონა ტექსტი, ზრდილობიანი მადლობა გადაუხადა ბურდიაკს და თავისი დღიურების რვეულში შეინახა. მაგრამ სულ რამდენიმე საათი თუ ატარა დუბინინმა ცნობილი გამომგონებლის სახელი. შუადღისას ოცმეთაური და ზემდეგი მოვიდნენ. ზემდეგმა შესანიშნავი ხალათები დაგვირიგა, ხოლო ლეიტენანტმა გაგვაცნო საქმის ვითარება, რუკაზე გვაჩვენა სად უნდა განლაგებულიყო ქვემეხები და სად სათვალთვალო პუნქტი.

— როგორც კი დაღამდება, დავიძრებით. აქედან სულ ხუთ კილომეტრზეა ცეცხლის ხაზი. დილის 6 საათზე დაიწყება საარტილერიო მომზადება. შეამოწმეთ ტელეფონის აპარატები, რადიოსადგური, პირადი იარაღი, მზად იყავით! დაზვერვის ცნობით ჩვენს წინაა დივიზია „ვიკინგი", თავზეხელაღებული ხალხითაა დაკომპლექტებული.

მაგრამ სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე. დღის ორ საათზე მტერმა გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. შემდეგ ცეცხლი ზურგში გადაიტანა და ჩვენამდეც მოაღწია. ერთი მძიმე ჭურვი თავლას მოხვდა, ცეცხლი გაუჩნდა ცხენების სადგომს, შევცვივდით ალმოდებულ თავლაში, ავუშვით ცხენები და გარეთ გამოვრეკეთ. სოფელში სხვა სახლებსაც მოეკიდა ცეცხლი, ბოლში გაეხვია ყველაფერი. ისმოდა მხოლოდ ჭურვების აფეთქების ხმა და დამფრთხალი ცხენების ჭიხვინი. უცებ სანიტარული ორთვალა გამოჩნდა, ვიღაც მეომარი კოფოზე შემდგარიყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიერეკებოდა ცხენს.

— გერმანელებმა გაარღვიეს დაცვის ხაზი, გზატკეცილისკენ მოიწევენ, მალე აქ გაჩნდებიან მათი ტანკები! — მოგვაძახა და ბოლში გაუჩინარდა.

— გერმანელები, გერმანელები! — იყვირა ამ დროს უსაჩოვმა, რომელიც აივნის მოაჯირზე შემდგარიყო და სოფელს გასცქეროდა, — ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები!...

ახლა ჩვენც დავინახეთ, როგორ გამოეფინენ ტანკები ტყიდან, როგორ გადმოსხდნენ ქვეითები ჯავშანტრანსპორტიორებიდან და სოფლის გარეუბანში შემოიჭრნენ. სწორედ ამ დროს აქუხდა ჩვენი ბატარეები. ისინი პირდაპირი დამიზნებით ურტყამდნენ ტანკებსა და მოიერიშეებს. ალბათ, ამას არ მოელოდა მტერი, რა იცოდა თუ სოფელში საარტილერიო დივიზიონი იდგა, ამიტომ შეჩერდა, სახელდახელოდ ჩასანგრდა.

ეზოში აქლოშინებული დუბინინი შემოვარდა და იყვირა:

— ძმებო, თავს გვივლიან, სოფელი ალყაშია!

ახლა კი ყველაფერი ნათელი იყო: გერმანელებს სურდათ ზურგიდან დაერტყათ ჩვენი ბატარეებისათვის და თავისი მოიერიშე ნაწილებისათვის გზა გაეხსნათ. ამიტომ ლეიტენანტის ბრძანებით გარეთ გამოვცვივდით და ჩავსაფრდით, მხოლოდ მე დავრჩი ქოხში ტყვიამფრქვევით.

ფანჯრიდან მოჩანდა გერმანელთა რაზმი, რომელიც სროლით უახლოვდებოდა სოფელს.

— სერჟანტო, — ძლივს გავიგონე ლეიტენანტის ხმა. — ეცადე გზაზე არ გადმოუშვა. ვინც გამოაღწევს, ჩვენ გავუსწორდებით.

გერმანელები აჩქარებული სიარულიდან სირბილზე გადავიდნენ, მაგრამ ჩემი ტყვიამფრქვევის გადამღობმა ცეცხლმა შეაჩერა ისინი, თოვლში ჩაწვნენ და ახლა ხოხვით წამოვიდნენ გზისაკენ. წამით შევწყვიტე ცეცხლი, ახალი დისკო დავუდე ტყვიამფრქვევს, ამით ისარგებლეს გერმანელებმა და ათიოდე კაცი შემოიჭრა ეზოში.

ისევ დავუშინე ტყვია, მალი-მალ მზერას გავაპარებდი ქვევით. ვხედავდი, როგორ ბუღრაობდა დუბინინი — თოფი უკუღმა შეებრუნებინა, ვისაც დუგლუგს მოსდებდა — მზეს უბნელებდა. სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა ხელჩართული ბრძოლა. გერმანელთაგან ვინც გადარჩა, იმ ქოხში სცადეს თავის შეფარება, სადაც მე ვიყავი. აი, ისინი კიბეზე ამორბიან, მათ ფეხდაფეხ მოსდევს დუბინინი, შემდეგ წამოდგა ჩვენი ლეიტენანტი, „წინ"! დაიძახა და გზის იქით თოვლში ჩაწოლილ გერმანელთა შესამუსრავად წაიყვანა გადარჩენილი ხალხი. შემდეგ... ყველაფერი დაბნელდა, არა, ჯერ განათდა და შემდეგ დაბნელდა...

თვალი რომ გავახილე, პირველად დუბინინი დავინახე — თოვლით მიზელდა სახეს. ირგვლივ სიჩუმე იყო, არ ისმოდა ბრძოლის ყიჟინა, ქვემეხების გუგუნი. ნუთუ ყველაფერი დამთავრდა, ნუთუ მტერი უკუიქცა? დუბინინმა გონზე მოსული რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა.

— დროზე მოგვისწრო ქვეითმა ბატალიონმა, ვინც ჩვენ გვიპირებდა ალყაში მოქცევას, თვითონ მოექცა ალყაში, განადგურდა მათი ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები.

— ჩვენები?

— ლეიტენანტი და ორი მზვერავი მოკლეს. ბურდიაკი და სიტინინი მსუბუქად დაიჭრნენ. ბოლტუნოვს დაევალა ოცეულის ხელმძღვანელობა. შენ მკვდარი გვეგონე. აი, ამ სულძაღლმა ხელყუმბარა შემოაგდო ოთახში, ჰაერის ტალღამ გაგაბრუა.

ბარბაცით წამოვდექი. მინებჩამსხვრეული ფანჯრიდან გავიხედე. ბოლავდა დამწვარი ქოხები, ორღობეში მოჩანდნენ ჩვენი მეომრები, ისინი ხმაურით მიერეკებოდნენ ტყვეებს, გადახდილ ბრძოლაზე უყვებოდნენ ერთმანეთს.

ქოხში შტაბის უფროსი ჩუბარევი შემოვიდა.

— აბა, გმირებო, გამოდით, დამენახეთ! — დაიძახა მან.

თანდათან შემოლაგდნენ ჩვენი ოცეულის გადარჩენილი მეომრები.

— აბა, ეგ გერმანელები აქ მოიყვანეთ. შენი ტყვეებია, დუბინინ? ეტყობა, სახეზე ეტყობა. ჰო, ჰო, როგორ დაგიჟეჟია ორივე. აბა, ერთი ჰკითხე, გერმანულიც გეხერხება, რომელი დივიზიიდან არიან.

— ვიკინგ! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ტყვემ.

— დუბინინ, გაჩხრიკე ეს არამზადები.

დუბინინმა ერთ მათგანს დაავლო ხელი, მაგიდასთან მიიყვანა, ჯერ ჯიბეები გადმოუბრუნა, შემდეგ ზურგჩანთა მოხსნა და მაგიდაზე გადმოაპირქვავა. არაფერი მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა. მეორე ტყვე უნტეროფიცერი იყო. თვითონ მოვიდა მაგიდასთან, დოკუმენტები და სხვა პირადი ნივთები მაგიდაზე დაალაგა, ზურგჩანთა მოიხსნა და დუბინინს მიაწოდა. დუბინინმა ჩაჰყო ხელი ჩანთაში. პირსახოცი, ერთი ხელი საცვალი, სხვადასხვა ნივთები, კონსერვი ამოალაგა და... მისი ხელი რაღაც ცივ საგანს შეეხო. ჩუბარევმა დუბინინს შეცბუნება შეატყო.

— რაო, ნაღმი ხომ არ არის მაგ ჩანთაში?

— ნაღმზე უარესია.

— რა არის ასეთი, ამოიღეთ.

დუბინინმა ჩანთიდან ხელის ხერხი ამოიღო.

— რათ გინდა ეს ნივთი? შეეკითხა იგი გერმანელს.

— გაყინულ პურს ვჭრით ხოლმე.

— დიდი ხანია ხმარობთ?

— მას შემდეგ, რაც ყინვები დაიჭირა, თითქმის ორი თვეა გაყინული პურით ვიკვებებით.

შემდეგ, როდესაც ლეიტენანტი ლუჩკინი და ორი მზვერავი მიწას მივაბარეთ, ტყვეები შტაბში წავიყვანეთ და ისევ სალაშქროდ გავემზადეთ, დუბინინმა თავისი დღიურების რვეულიდან „გამოგონების" დიპლომი ამოიღო და ბურდიაკს გაუწოდა.

— მე არც ედისონი ვარ და არც დიპლომი მერგება. გამოგონების პრიორიტეტი იმ ძაღლიშვილს ეკუთვნის.

ჩვენმა ბრიგადამ იერიშს იერიშით უპასუხა, ზუსტად იქ, სადაც მათ ჩვენი ფრონტის ხაზი გაარღვიეს, მეორე ქვეითი ბატალიონი გაიჭრა. ჩვენც მივყევით ქვეითებს, მიუხედავად იმისა, რომ თითო ქვემეხში ორ-ორი ცხენიღა გვება, მაინც არ ჩამოვრჩენილვართ, ოფიცრიდან დაწყებული რიგით ჯარისკაცამდე ყველა ეხმარებოდა განაწამებ პირუტყვებს. ამაში პირველი, რასაკვირველია, დუბინინი იყო, კონსტანტინე ივანიჩი, სპორტის ოსტატი. იგი მხარს შეუდგამდა ხოლმე ქვემეხს და თავისი ბოხი ხმით შეუძახებდა:

— აბა, ერთად, ბიჭებო, ცოტა კიდევ და შამათი გარდაუვალია!.

ირაკლი უგულავა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 249.

წლის საუკეთესო ფეხბურთელი

1984 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" კაპიტანი, 21 წლის **გენადი ლიტოვჩენკო**. ეს ცნობილი გახდა სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვის შედეგად, რომელსაც სეზონის ბოლოს ატარებს ყოველკვირეული „ფუტბოლ–ხოკეი". „დნეპრის" წარმომადგენელი პირველად გახდა ამ რეფერენდუმის ლაურეატი; იგი ჩვენი ქვეყნის მეშვიდე კლუბის ფეხბურთელია, ვისი წევრიც დღემდე პირველ ნომრად ყოფილა დასახელებული.

მეორე ადგილზეა ლენინგრადის „ზენიტის" მეკარე **მიხაილ ბირიუკოვი**, მესამეზე — მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი **იური გავრილოვი**.

1964 წლიდან მოყოლებული ჟურნალისტთა რეფერენდუმში სამჯერ გაიმარჯვა კიევის „დინამოს" თავდამსხმელმა ოლეგ ბლოხინმა. ორ-ორჯერ უძლიერესები იყვნენ ვალერი ვორონინი და ედუარდ სტრელცოვი (ორივე — „ტორპედო", მოსკოვი) და რამაზ შენგელია („დინამო", თბილისი).

ინფორმაცია

მხატვრული ტანვარჯიში

ხარკოვი. გაიმართა საკავშირო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. მთავარი პრიზი და პირველი ადგილი დაისაკუთრა კიროველმა მოსწავლემ ელენა დევეტიაროვამ — 39,05. მეორე ადგილზე გამოვიდა 19 წლის ტაშკენტელი სტუდენტი ვენერა ზორიპოვა, რომელიც გამარჯვებულს 0,15 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი წილად ხვდა იუნიორთა შორის ინტერვიზიის თასის მფლობელს, 13 წლის კიეველ გოგონას ბოგდანა ტარასოვას — 38,50.

ჰოკეი

ჰელსინკი. ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში დაუმარცხებლად ასპარეზობს სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც მეოთხე კალენდარული მატჩი შვეციის ნაკრებს ანგარიშით 5:1 (1:0, 2:0, 2:1) მოუგო. ამ დღეს გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდა ჰოკეისტებმა დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები— 7:3 (4:0, 2:1, 1:2).

თხილამურები

ჩიმბულაკი. აქ გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი სამთოსათხილამურო სამჭიდში. ქალთა გიგანტურ სლალომში ორი ცდის ჯამში საუკეთესო შედეგი აჩვენა ლენინგრადელმა ოლგა ლოგინოვამ — 2.24,41. ვაჟთა შორის კი გაიმარჯვა ხარკოველმა ალექსანდრე კოსტრომამ — 2.23,34. ორი სახეობის შემდეგ ჯერჯერობით ისინი ლიდერობენ.

* * *

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა მიმდინარე წლის „სპორტლოტოს" ბოლო, 52-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 3 (ბობსლეი), 20 (აფროსნობა), 38 (აკრობატიკა), 40 (ბადმინტონი), 48 (ჭადრაკი), 49 (შაში).

„სპორტლოტო 5 36" დან: 1 (კალათბურთი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა).

1985 წლიდან „სპორტლოტოს" ტირაჟები შედგება კვირაობით.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07528